



**მწვანე**  
ალტერნატივა

მისამართი: 0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართული  
ტელეფონი: (+995 32) 2 22 38 74 / 2 29 27 73  
ფაქსი: (+995 32) 2 22 38 74  
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

№ 04/09/01- 170  
9 თებერვალი, 2015

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:**  
ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა

### ადმინისტრაციული საჩივარი

#### გასაჩივრებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:

1. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანება;
2. სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებით - კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსათვის რეკომენდაციით მიმართვის შესახებ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადარო“ მოეხსნას კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი;
3. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს RMG Gold-ს მიეცა თანხმობა არქეოლოგიური ობიექტის აღების(დამლის) შესახებ.

#### ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:

1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანება.
2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებით - კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსათვის რეკომენდაციით მიმართვის შესახებ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადარო“ მოეხსნას კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი.
3. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს RMG Gold-ს მიეცა თანხმობა არქეოლოგიური ობიექტის აღების(დამლის) შესახებ.

## **გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:**

### **გარემოება №1.**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601 და 62-ე მუხლებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამანდო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართში უკანონოდ ასახული „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს“ დანართიდან ამოღების მიზნით:

1. ბათილად იქნა ცნობილი „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27.04.2006წ., №9; ნაწ.IV; გვ.49) დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი).
2. ამ ბრძანების შესრულების უზრუნველსაყოფად, დაევალა სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (ბ. მაცაბერიძე) და სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს (თ. ჩიხრაძე) უზრუნველყონ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის წარსადგენი, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებაში ცვლილებისათვის საჭირო, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება 3 დღის ვადაში.
3. სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (ბ. მაცაბერიძე) დაევალა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში არსებული, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
4. სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს (თ. ჩიხრაძე) დაევალა სათანადო სამუხეუმო სივრცის შესაქმნელად და ამ სივრცეში საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მოპოვებული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლების გადასატანად კომპანია RMG-სა და სამინისტროს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის მომზადება.
5. საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის შესწავლა განხორციელდეს 2013 წლის 15 სექტემბრამდე.

### **მტკიცებულება:**

დანართი №1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება.

### **გარემოება № 2.**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შეიქმნა კომისია ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამანდო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლისა და მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. აღნიშნული ბრძანებით ცალსახადაა დადასტურებული, რომ ამ კომისიის შექმნის მიზანია „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს“ კულტურის ძეგლისთვის

სტატუსის მინიჭების დოკუმენტების შესწავლა და შესწავლის შედეგებისაგან დამოუკიდებლად, მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

**მტკიცებულება:**

დანართი №2: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანება;

დანართი №3: კომისიის დასკვნა.

**გარემოება №3.**

2013 წლის 17 ოქტომბერს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ და დავით სახვაძემ ადმინისტრაციული სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის №1430 განკარგულების ბათილად ცნობა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს №03/130 ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №1436 განკარგულების ბათილად ცნობა. აღნიშნული ადმინისტრაციული სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული, დასაშვებად იქნა ცნობილი და დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას და დავით სახვაძის ადმინისტრაციული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სადაო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება და საქართველოს ძეგლთა დაცვის კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმავე საკითხზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს №03/130 ბრძანება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის №1430 განკარგულება, ცნობა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1433 განკარგულება და ცნობა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №1436 განკარგულება. გემოაღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებელია მხარეთა მიერ სააპელაციო წესით, რევანდელი მდგომარეობით სააპელაციო ინსტანციაში გადაწყვეტილება სადავო საკითხზე მიღებული არ არის (მომხსენებელი მოსამართლე თეა ძიმისტარაშვილი).

**მტკიცებულება:**

დანართი №4: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინება;

დანართი №5: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება;

**გარემოება № 4.**

სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 12 დეკემბრის №05/09/1857 წერილით და კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის სხდომის ოქმით დადგენილია, რომ კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციამ განიხილა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მადაროს“-თვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის საკითხი და სექციამ ხმათა უმრავლესობით დაადგინა: ვინაიდან საყდრისის ობიექტი ისეა დაზიანებული, რომ შეუძლებელია მისი

ისტორიულ/კულტურული ღირებულების აღდგენა/შენარჩუნება, ასევე დაკარგული აქვს ის ძირითადი მახასიათებლები, რის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი, საბჭო რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო“ მოესხნას კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი.

სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებით - კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის 2014 წლის 8 აპრილის №01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე: 1. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მოესხნა „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს“; 2. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს ეთხოვა „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და ბრძანების რიგითი ნომერის „2042 საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო“ ბრძანების დანართიდან ამოღება; 3. განისაზღვრა წინამდებარე ბრძანების ამოქმედების დრო მისი გამოქვეყნებისა და ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის შესაბამისი აქტის ამოქმედებისთანავე.

სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 12 დეკემბრის №05/09/1857 წერილით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს შემდგომი რეაგირებისათვის წარედგინა სააგენტოს დირექტორის ბრძანება და საბჭოს სხდომის ოქმი.

#### **მტკიცებულება:**

დანართი №6: სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 12 დეკემბრის №05/09/1857 წერილი;

დანართი №7: კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის სხდომის ოქმი;

დანართი №8: სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანება;

#### **გარემოება №5.**

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს RMG Gold-ს მიეცა თანხმობა არქეოლოგიური ობიექტის აღების(დაშლის) შესახებ.

საქართველოსა და კულტურის ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 12 დეკემბრის №03/266 ბრძანებით სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებისა და სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის საფუძველზე:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება - „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე.

2. ბათილად იქნა ცნობილი „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მალარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი).

### **მტკიცებულება:**

დანართი №9: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება;

დანართი №10: საქართველოსა და კულტურის ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 12 დეკემბრის №03/266 ბრძანება;

### **გარემოება №6.**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 09 იანვრის №01 ოქმით დადასტურებულია, რომ საბჭომ მონვეული არქეოლოგების (7 არქეოლოგი) მონაწილეობით განიხილა საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში (2013წ.21 ოქტომბერი -12 ნოემბერი) და დაასკვნა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ ჩატარებული სამუშაოების ანგარიში (2013წ 21 ოქტომბერი-12 ნოემბერი) არ არის სრულყოფილი და უნდა გაგრძელდეს ობიექტის არქეოლოგიური შესწავლა.

2014 წლის 08 იანვარს საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა გიორგი მინდიაშვილმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს წარუდგინა ბოლნისის მუნიციპალიტეტში საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ დამცავ ზონაში არსებული ობიექტის სააღრიცხვო დოკუმენტაცია და მოითხოვა მისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 27 იანვრის №02 ოქმით დადასტურებულია, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით წარმოდგენილი სააღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნევს საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე მდებარე არქეოლოგიური ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება და ძეგლის საზღვრების საბოლოო დაზუსტება. საბჭოს გემოაღნიშნული გადაწყვეტილება დღემდე უგულვებელყოფილია სამინისტროს მიერ.

### **მტკიცებულება:**

დანართი №11: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 9 იანვრის №01 ოქმი ;

დანართი №12: გიორგი მინდიაშვილის 2014 წლის 8 იანვრის მიმართვა და ობიექტის სააღრიცხვო დოკუმენტაცია;

დანართი №13: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 27 იანვრის №02 ოქმი.

## საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.1 მუხლის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას., ხოლო 11.3 მუხლის თანახმად სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის არამართლმომიერი გადაწყვეტილება. სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, მის ზემდგომ ორგანოს წარმოდგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და მაშასადამე, გასაჩივრებული აქტების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შესახებ უნდა იმსჯელოს და შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სწორედ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და ადმინისტრაციული საჩივარიც წარმოდგენილია უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში თანახმად სზაკ-ის 178-ე მუხლისა.

2. სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო წარმოდგენს ადმინისტრაციულ ორგანოს სზაკ-ის 1.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მასზე ვრცელდება ამ კოდექსის დებულებანი.

3. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

4. განსახილველ შემთხვევაში სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანება - კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსათვის რეკომენდაციით მიმართვის შესახებ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო“ მოეხსნას კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი - წარმოადგენს შუალედური ხასიათის მქონე სამართლებრივ აქტს. აღნიშნული აქტის შუალედური ხასიათი არ გამოირიცხავს მის გასაჩივრების შესაძლებლობას, რადგანაც ეს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დაშვებულია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საჩივრდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებასთან ერთად, რაც დასახელებულ შებლუდვას ხსნის.

მომავალში, საჩივრის არგუმენტაციის აღქმის გასაიოლებლად, დათქმის სახით ავღნიშნავთ, რომ კანონი (ზემოაღნიშნული ზაკის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილი) მართალია, უპირობოდ არ უშვებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მიღებულ ყველა გადაწყვეტილების გასაჩივრებას, მაგრამ ამით არ გამოირიცხავს ამ წერილობითი დოკუმენტების, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბუნებას. ამიტომაც, მართებულია ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტისადმი ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გავრცელება სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის

ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანება - კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების მიმართ და შესაბამისად, მათი დაუცველობის გამო არა მხოლოდ სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანების, არამედ კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნაც.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანება, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანება - კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსათვის რეკომენდაციით მიმართვის შესახებ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადარო“ მოეხსნას კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს RMG Gold-ს მიეცა თანხმობა არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) შესახებ. გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:

5. სზაკ-ის 6011 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სზაკ-ის 53.4 მუხლის თანახმად თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ამავე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სზაკ-ის 96.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჭერების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ არის დადგენილი და დადასტურებული, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღო ზემოაღნიშნული სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჭერების გარეშე, გასაჩივრებული აქტით არ დგინდება რა არის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, ასევე უხეშად არის დარღვეული კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოების სზაკ-ით დადგენილი მოთხოვნები (საბჭოს სხდომაში მონაწილეობს ნ. ან თიძე,

რომელიც არ არის ამ საბჭოს წევრი), ასევე დარღვეულია სზაკ-ის 34-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც კოლექციური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში კი ყველა გასაჩივრებელი აქტი გამოცემულია ერთსა და იმავე დღეს, რაც ნიშნავს იმას, რომ განსახილველ საკიტხზე ადმინისტრაციული წარმოება არ არის ჩატარებული დადგენილი წესით.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 15.1 მუხლის თანახმად ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველია მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, დაკავშირებული მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტიკურობასთან. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ვერ ხერხდება ობიექტის რაობის სრულყოფილი განსაზღვრა, ასევე როდესაც მის ისტორიულ ან კულტურულ ღირებულებასთან დაკავშირებული მონაცემები გადამოწმებას ან დამატებით შესწავლას საჭიროებს, მინისტრი უფლებამოსილია მაინც შეიტანოს ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში. ამ მომენტიდან მასზე ვრცელდება ამ კანონის VI და IX თავებით ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც „ვერ ხერხდება“ (სინამდვილეში დადგენილი და დადასტურებულია მისი არსებობა) საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის რაობის სრულყოფილი განსაზღვრა და ობიექტი დამატებით შესწავლას საჭიროებს მინისტრს მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი უნდა შეეტანა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში ნაცვლად ამისა, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებით განხორციელდა კანონის უხეში დარღვევით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლისათვის სტატუსის მოხსნა.

წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა, (გასაჩივრებელი სამართლებრივი აქტები ჩაგვბარდა 2015 წლის 9 იანვარს, წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია კანონით დადგენილი 30-დღიანი ვადის დაცვით 2015 წლის 9 თებერვალს), არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძველები, რის გამოც გთხოვთ:

1. წარმოებაში მიიღოთ წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოთ ზეპირი მოსმენით საჩივრის შემომტანი პირების აუცილებელი მონაწილეობით.
3. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანება.
4. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებით - კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსათვის რეკომენდაციით მიმართვის შესახებ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მალარო“ მოეხსნას კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი.
5. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს RMG Gold-ს მიეცა თანხმობა არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) შესახებ.



**საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:**

დანართი №1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება (1 ფურცელი)

დანართი №2: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანება (2 ფურცელი);

დანართი №3: კომისიის დასკვნა (7 ფურცელი);

დანართი №4: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინება (2 ფურცელი);

დანართი №5: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება (15 ფურცელი) ;

დანართი №6: სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 12 დეკემბრის №05/09/1857 წერილი (1 ფურცელი);

დანართი №7: კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის სხდომის ოქმი (11 ფურცელი);

დანართი №8: სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანება (1 ფურცელი);

დანართი №9: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება (1 ფურცელი);

დანართი №10: საქართველოსა და კულტურის ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 12 დეკემბრის №03/266 ბრძანება (1 ფურცელი);

დანართი №11: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 09 იანვრის №01 ოქმი (3 ფურცელი);

დანართი №12: გიორგი მინდიაშვილის 2014 წლის 08 იანვრის მიმართვა და ობიექტის სააღრიცხვო დოკუმენტაცია (22 ფურცელი)

დანართი №13: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 27 იანვრის №02 ოქმი (10 ფურცელი);

დანართი №14: - ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (2 ფურცელი)

დანართი №15: - რწმუნებულება (1 ფურცელი)

**სულ დანართ : 80 ფურცელი**

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,



ნინო გუგარაიძე

აღმასრულებელი დირექტორი